”დინამო” (თბილისი) – ”პახტაკორი” (ტაშკენტი)

განვლილ კვირას თბილისის ”დინამოს” ფეხბურთელებს ჰქონდათ მორიგი საკონტროლო მატჩი. ამჯერად მათი მოწინააღმდეგე იყო ტაშკენტის ”პახტაკორი”.

გუნდები მინდორზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: ”პახტაკორი” - კლიმოვი, ტაჯიროვი, მოტორინი, სუიუნოვი, ორლოვი, ბაირამოვი, მოროზოვი, სტადნიკი, კრასნიცკი, ტაზეტდინოვი, აბდურაიმოვი. ”დინამო” - კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ხუნდაძე, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

ძლიერი ქარი, რომელიც არ შეწყვეტილა მთელი მატჩის განმავლობაში, საგრძნობლად უშლიდა ხელს მოთამაშეებს ბურთის დამუშავებაში, ტექნიკური ელემენტების შესრულებაში, შორ მანძილებზე გადაცემებისას სათანადო სიზუსტის დაცვაში და ა.შ. მაგრამ მიუხედავად ამისა, თამაში საკმაოდ მაღალ ტემპში და საინტერესოდ მიმდინარეობდა.

”პახტაკორის” მთავარი ძალა - ესაა თავდასხმის ცენტრალური სამეული - სტადნიკი, კრასნიცკი, ტაზეტდინოვი. ტაშკენტელთა შუამარბები მაღალი ტექნიკის მქონე ფეხბურთელებია, რომლებიც ვრცელ ტერიტორიაზე მოქმედებენ, აქტიურად ეხმარებიან ნახევარდაცვას და სულ მცირე შესაძლებლობასაც იყენებენ, რათა კარში დარტყმის შესაძლებლობა შეუქმნან თავიანთ ცენტრალურ თავდამსხმელს კრასნიცკის. მართალია, ეს ერთფეროვანი ტაქტიკაა, რომელიც ახლა ყველასათვის ცნობილია, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლა არც ისე იოლია, ვინაიდან კრასნიცკის საუკეთესოდ აქვს დამუშავებული გადამწყვეტი დარტყმა და მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება წამითაც კი, ამიტომ თორაძეს სრული დატვირთვით მოუხდა თამაში, რათა უვნებელეყო ცენტრალური ზონა საშიში მეტოქის იერიშებისაგან.

დინამოელთა თავდასხმა ამ დღეს სრული შემადგენლობით თამაშობდა და აჩვენა კიდეც თავისი მაღალი კლასი, მაგრამ მარჯვენა ფრთაზე ჯერ კიდევ არ შესულა საბრძოლო ფორმაში მელაშვილი და გარდა ამისა, ფორვარდები ხშირად ზედმეტად ატარებენ ბურთს, აგვიანებენ კარში დარტყმას, ერთობიან დრიბლინგით. მიუხედავად ამისა, კოლექტივმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

თბილისელები დიდხანს ფლობდნენ ინიციატივას. 21-ე წუთზე ბარქაიამ ძლიერად დაარტყა კარში, ბურთს ზედ ხაზზე მიუსწრო მელაშვილმა და გახსნა ანგარიში. მცირე ხანს შემდეგ იამანიძემ კარგად გამოიყენა კალოევის გადაცემა და მეორე ბურთი გაიტანა - 2:0.

მეორე ტაიმში მასპინძლები თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს, რაც ძირითადად ხორციელდებოდა მესხის სწრაფი გარღვევებით მარცხენა ფლანგიდან. სწორედ აქედან დაწყებული კომბინაცია დაამთავრა ბარქაიამ იშვიათი სიზუსტის დარტყმით, ხოლო შემდეგ ღოღობერიძემ ასევე ოსტატურად გაიტანა კიდევ ერთი გოლი.

ანგარიშით 4:0 გაიმარჯვა ”დინამომ”.

ბ. ქორიძე.
28 მარტი, 1961 წ.